



ევროპის საბჭოს/ევროკავშირის თანამშრომლობის პროგრამული ჩარჩოს ფარგლებში განხორციელებული პროექტების შუალედური შედეგები (2015-2017 წწ.)

რას ნიშნავს პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო?

2014 წლის აპრილში, ევროკავშირმა და ევროპის საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება განხორციელებინათ მიზნობრივ თანამშრომლობაზე აგებული ღონისძიებები ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, ბელარუსი), რათა დაეხმარონ მათ უფრო მიუახლოვდნენ ევროპულ სტანდარტებს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის სფეროებში.

რეგიონული პროექტების ფარგლებში "პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო" (PCF) 2015-2017 წლებში შედგა თანამშრომლობა ექვს ქვეყანას შორის; პროექტი ძირითადად ფინანსდება ევროკავშირის მიერ, მას ასევე აფინანსებს და ახორციელებს ევროპის საბჭო.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანა (ბელარუსის გარდა) ევროპის საბჭოს წევრი-სახელმწიფოებია.

სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში

ბიუჯეტი: 300,000 EUR

მოცემული პროექტი მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას საჯარო ხელისუფლების ეფექტიანი ურთიერთქმედების და დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის ხელშეწყობას. ამ პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამოქალაქო საზოგადოების ლიდერებთან და საჯარო მოხელეებთან მუშაობას რეგიონულ დონეზე. პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა კვლევა "სამოქალაქო მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში", შეიქმნა დაინტერესებულ მხარეთა ქსელი და შემუშავების ეტაპზეა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერების რეგიონული სტრატეგია.

► [ბმული პროექტის შედეგების დოკუმენტზე](#)

რეგიონული დიალოგი სასამართლო რეფორმის საკითხებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში

ბიუჯეტი: 500,000 EUR

პროექტი მიზნად ისახავს დაეხმაროს აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანას ეფექტიანად განახორციელონ იუსტიციის სისტემის რეფორმა. ამის განსახორციელებლად შეიქმნა რეგიონული

საკორდინაციო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის რეგიონში სასამართლო სისტემის წინაშე მდგარ გამოწვევებს, გამოავლენს საუკეთესო პრაქტიკას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა გააძლიერონ ქვეყნებმა ეროვნული რეფორმების პროცესი ისეთ სფეროებში, როგორცაა სამოსამართლო ეთიკა, ელექტრონული მართლმსაჯულება, იურიდიული დახმარება, მხარეთა თანასწორობა, უზენაესი სასამართლოების როლი სასამართლო პრაქტიკის ჰარმონიზაციის პროცესში, მოსამართლეთა შერჩევა და მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, და დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მიდგომები.

► [ბმული პროექტის შედეგების დოკუმენტზე](#)

კონსტიტუციური მართლმსაჯულების გაძლიერება

ბიუჯეტი: 279,000 EUR

პროექტი ხორციელდება კონსტიტუციური სამართლის ექსპერტთა ევროპის საბჭოს ორგანოს - ვენეციის კომისიის მიერ. პროექტის ფარგლებში, საკონსტიტუციო სასამართლოების წარმომადგენლებმა ჩაატარეს დემოკრატიული მმართველობის პირობებში სასამართლოების როლის ამსახველი კვლევა, განსაკუთრებული აქცენტით სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასა და ინდივიდუალური საჩივრების განხილვის პროცედურებზე. ასევე, მოსამართლეებმა გაიუმჯობესეს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარები, როგორცაა CODICES მონაცემთა ბაზა და "ვენეციის ფორუმი", რომლებიც სწრაფი ინფორმაციის გაცვლის საშუალებას იძლევა სასამართლოებს შორის, რაც მათ ეხმარება უფრო მაღალი ხარისხის გადაწყვეტილებები გამოიტანონ.

► [ბმული პროექტის შედეგების დოკუმენტზე](#)

ქალების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში

ბიუჯეტი: 110,000 EUR

პროექტი მიზნად ისახავს კვლევების და პრაქტიკული ინსტრუმენტების დახვეწას, რათა გადაილახოს დაბრკოლებები ქალების მართლმსაჯულებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. პროექტის შედეგად, სომხეთის იუსტიციის აკადემიამ, აზერბაიჯანის იუსტიციის აკადემიამ, იუსტიციის უმაღლესმა სკოლამ, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, მოლდოვას რესპუბლიკის იუსტიციის ეროვნულმა ინსტიტუტმა და უკრაინის მოსამართლეთა ეროვნულმა სკოლამ თავის სასწავლო პროგრამებში შეიტანეს ქალების მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის თემები. ასევე, მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის ჩატარდა ეროვნული დონის სასწავლო სემინარები. პროექტის ბოლო ეტაპზე შემუშავდება სასწავლო სახელმძღვანელო, თუ როგორ უნდა უზრუნველყოფილ იქნეს ქალების ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე, მათ შორის "თითოეული ქვეყნისთვის შემუშავებული ცალკეული თავები" ხუთივე ქვეყნის მაგალითებით.

► [ბმული პროექტის შედეგების დოკუმენტზე](#)

ადამიანის უფლებების სწავლებისა და დემოკრატიული მოქალაქეობის ხელშეწყობა

ბიუჯეტი: 800,000 EUR

კვლევის შედეგად გაანალიზდა სკოლებში ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლების ეროვნული პოლიტიკები, გამოვლინდა არსებული გამოწვევები და პრიორიტეტები თითოეული ქვეყნისთვის. კვლევის გარდა, ჩატარდა ტრენინგები მასწავლებლებისთვის და დახმარება გაეწიათ მათი სკოლებისთვის სასწავლო პროგრამების და მასალების შემუშავებაში. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა განათლების სახელმძღვანელოები ითარგმნა რამდენიმე ენაზე; მათ შორის დემოკრატიული მოქალაქეობის და ადამიანის უფლებათა სწავლების ქარტია პირველად ითარგმნა ბელარუსულ ენაზე.

► [ბმული პროექტის შედეგების დოკუმენტზე](#)

სასჯელადსრულების რეფორმების ხელშეწყობა: სადამსჯელოდან სარეაბილიტაციო მიდგომამდე

ბიუჯეტი: 110,000 EUR

საპატიმროების გადატვირთულობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს; ევროპის საბჭომ მოამზადა რეგიონული ანგარიში და ცალკეული ანგარიშები ოთხი ქვეყნისთვის წინადადებებით, თუ როგორ შეიძლება საპატიმროებში გადატვირთულობის პრობლემის გადაჭრა სომხეთში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში. შეთავაზებული წინადადებებისა და გზების განხორციელების საკითხი განხილულ იქნა პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ დასკვნით კონფერენციაზე; სემინარზე განხილულ იქნა სამომავლო ნაბიჯები და ღონისძიებები, და აგრეთვე, თითოეული ქვეყნის ინდივიდუალური საჭიროებები მომდევნო ტექნიკური დახმარების დაგეგმვის მიზნით.

► [ბმული პროექტის შედეგების დოკუმენტზე](#)

სისხლისსამართლებრივი რეაგირება ნარკოდამოკიდებულებაზე საპატიმროებში

ბიუჯეტი: 400,000 EUR

ევროპის საბჭოს ნარკოპოლიტიკის ექსპერტები, პომპიდუს ჯგუფი, მჭიდროდ მუშაობდა სამიზნე ქვეყნების ხელისუფლების წარმომადგენლებთან ნარკოტიკებთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ციხეებში ნარკოდამოკიდებულების მკურნალობის გაუმჯობესების მიმართულებით. საქართველოს ხელისუფლებასთან ერთად ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ იქნა პოლიტიკისა და საკანონმდებლო ცვლილებების ეროვნული სტრატეგიული გეგმა ციხეებში გადატვირთულობის და ნარკოდამოკიდებულებების რაოდენობის შესამცირებლად. მოლდოვაში პროუნიკული ციხეში მოეწყო სპეციალური ბლოკი, რომელშიც თერაპიულ მკურნალობას ჩაუტარებენ ნარკოდამოკიდებულ პატიმრებს და ამ მიზნით მოხდა ადგილობრივი კადრების გადამზადება. ოცდახუთმა ექიმმა და ფსიქოლოგმა სომხეთიდან და უკრაინის პრილუკის და მელიტოპოლის არასრულწლოვანთა ციხეების პერსონალმა გაიუმჯობესეს ცოდნა და უნარები საოჯახო თერაპიის საკითხებსა და რისკების შეფასებაში.

► [ბმული პროექტის შედეგების დოკუმენტზე](#)

ბრძოლა კორუფციასა და ფულის გათეთრებასთან, და კარგი მმართველობის გაძლიერება

ბიუჯეტი: 1.2 მლნ. EUR

ევროპის საბჭომ შეიმუშავა საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სამოდელო კანონმდებლობა ყველა ექვსი ქვეყნისთვის ისეთ სფეროებში, როგორცაა ინტერესთა კონფლიქტი, იურიდიული პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერების ტესტირება. ასევე, მომზადდა ექსპერტული დასკვნები კანონპროექტებთან დაკავშირებით: **მოლდოვას** ხელისუფლებას რეკომენდაცია გაუწიეს სისხლის სამართლის კოდექსის უკანონო გამდიდრების მარეგულირებელ დებულებებთან, კეთილსინდისიერების ტესტირების კანონის ცვლილებებთან, ფულის გათეთრებასა და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის კანონპროექტთან დაკავშირებით; **აზერბაიჯანმა** დახმარება მიიღო რისკების მართვის კონცეფციის დანერგვასთან დაკავშირებით; და **ბელარუსი** გამოიყენებს ევროპის საბჭოს ექსპერტულ დახმარებას, თუ როგორ გამოავლინონ კორუფციული რისკები განათლების სექტორში.

კიბერდანაშაული: რეგიონული/საერთაშორისო და საჯარო/კერძო თანამშრომლობის პროექტები

ბიუჯეტი: 800,000 EUR (რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტი)
700,000 EUR (საჯარო/კერძო თანამშრომლობის პროექტი)

ევროპის საბჭო დაეხმარა სამართლებრივი ურთიერთდახმარების სახელისუფლო ორგანოებს და 24/7 საკონტაქტო პუნქტების თანამშრომლებს საერთაშორისო და რეგიონული თანამშრომლობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში და ასევე, ჩაატარა სამუშაო, რათა მათ გაეძლიერებინათ საჯარო/კერძო თანამშრომლობა ევროპის საბჭოს კიბერდანაშაულის შესახებ კონვენციის შესაბამისად. პროექტის გუნდმა მოამზადა წესების და პროცედურების ანალიზი თითოეული ქვეყნის სამართლებრივი ურთიერთდახმარების მიზნით, დახმარება გაუწია ქსელური თანამშრომლობის და ექსპერტიზის კუთხით, ასევე, დაეხმარა ონლაინ ინსტრუმენტების და მრავალენოვანი სტანდარტიზებული შაბლონების შექმნაში საერთაშორისო მოთხოვნებზე რეაგირებისთვის, რომლებიც ეხება შენახულ კომპიუტერულ მონაცემებზე წვდომის საკითხს. ამის შედეგად გაუმჯობესდა კიბერდანაშაულთან და ელექტრონულ მტკიცებულებებთან დაკავშირებული ინფორმაციის ურთიერთგაცვლა სამიზნე ქვეყნებს შორის.

- [ბმული პროექტის „კიბერდანაშაული EaP II ქვეყნებში: რეგიონული და საერთაშორისო თანამშრომლობა“ შედეგების დოკუმენტზე](#)
- [ბმული პროექტის „კიბერდანაშაული EaP III ქვეყნებში: საჯარო/კერძო თანამშრომლობა“ შედეგების დოკუმენტზე](#)

ინტერნეტ სივრცეში ადამიანის უფლებათა დაცვისადმი პატივისცემის გაძლიერება

ბიუჯეტი: 300,000 EUR

რეგიონული პროექტის ფარგლებში მოხდა ინტერნეტის გამოყენების პოლიტიკის და ევროპის საბჭოს ინტერნეტ მმართველობის სტანდარტების ერთგვაროვანი ინტერპრეტაციის გავრცელება სამიზნე ქვეყნებს შორის. პროექტში ჩაერთნენ აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების, ადგილობრივი ინტერნეტ მომსახურების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რათა გადაეხედათ ინტერნეტის საჯარო პოლიტიკისა და გზებისთვის იმისათვის, რომ შეეძლოთ ეპასუხათ ინტერნეტის გამოყენებასთან დაკავშირებული ახალი გამოწვევებისათვის. პროექტის მონაწილეებმა აიმაღლეს ცოდნა ინტერნეტ სივრცეში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე. პროექტმა განსაკუთრებით ხელი შეუწყო მდგრადი ინტერნეტ მმართველობის ფორუმის ჩამოყალიბებას საქართველოში.

ეროვნული მონაცემების დაცვის სისტემების განვითარება და გაძლიერება

ბიუჯეტი: 300,000 EUR

ევროპის საბჭომ რეკომენდაციები გაუწია სამიზნე ქვეყნებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ დახვეწონ მონაცემების დაცვის ეროვნული კანონმდებლობა. საქართველომ და მოლდოვამ მოამზადეს საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომლებიც წარუდგინეს საკანონმდებლო ორგანოს, პარლამენტებს, განსახილველად. გრძელდება დიალოგი ბელარუსთან იმასთან დაკავშირებით, თუ რა მასშტაბის იქნება ევროპის საბჭოს დახმარება მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული გარანტიების ანალიზის მიმართულებით.

პროფესიული და პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკის ხელშეწყობა თვითმარეგულირებელი ორგანოების რეგიონული ქსელის მეშვეობით

ბიუჯეტი: 409,000 EUR

ევროპის საბჭო თანამშრომლობდა რეგიონული თვითმარეგულირებელი ორგანოების ქსელის წევრებთან მათ მიერ საერთაშორისო საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირების, სიძულვილის ენის საწინააღმდეგო ბრძოლის მიმართულებით და ასევე იმასთან დაკავშირებით, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული ჟურნალისტების მხრიდან არაეთიკური ქცევის შემთხვევებში. შედეგად, შეიქმნა რეგიონული საჩივრების მექანიზმი და მიღებულ იქნა ეთიკის რეგიონული კომისიის წესდება.

▶ [ბმული პროექტის შედეგების დოკუმენტზე](#)

საარჩევნო კანონმდებლობის და პრაქტიკის რეფორმირება, და საარჩევნო საკითხებში რეგიონული თანამშრომლობის განვითარება

ბიუჯეტი: 1.3 მლნ. EUR

ევროპის საბჭომ დახმარება გაუწია სამიზნე ქვეყნებს გამოველინათ ძირითადი ფაქტები და დაესახათ არსებული წინააღმდეგობების დამლევის გზები ქალთა პოლიტიკურ წარმომადგენლობასთან დაკავშირებით. ტარდება კვლევები, დაინერგა პრაქტიკული ინსტრუმენტები და „peer-to-peer“ გაცვლა რეგიონულ და ორმხრივ ფორმატში, რათა მოხდეს სტიმულირება და ხელი შეეწყოს ქალების პოლიტიკურ საქმიანობას და ისინი უფრო აქტიური გახდნენ კენჭი იყარონ ეროვნულ და ადგილობრივ არჩევნებში.

შემუშავდა ორი სახელმძღვანელო, რომელთა მიზანია უფრო ეფექტიანი გახდეს ადგილობრივი დამკვირვებლების მუშაობა, გაუმჯობესდეს მათ მიერ მომზადებული ანგარიშები და დაინერგოს საერთაშორისო სტანდარტები ყოველდღიურ საქმიანობაში არჩევნების პროცესში. ეს ასევე ხელს უწყობს პარტნიორი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან მონიტორინგს (peer-to-peer) აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში.

განმტკიცდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ცენტრალური საარჩევნო კომისიების (ცესკო) პოტენციური სამართლიანი და სანდო არჩევნები ჩაატარონ ქვეყანაში ვენეციის კომისიის მიერ ორგანიზებული რეგიონული და ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე კონკრეტული ინიციატივების განხორციელების მეშვეობით. რეგიონული თანამშრომლობის შედეგად ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებმა გაიღრმავეს ცოდნა საარჩევნო პროცესების ფუნდამენტური ასპექტების შესახებ. ამ მიზნით, ვენეციის კომისიამ ჩაატარა ევროპული საარჩევნო ადმინისტრაციების კონფერენცია შემდეგ საკითხებზე: თუ როგორ უნდა უზრუნველყოს საარჩევნო ადმინისტრაციამ ნეიტრალიტეტი, მიუკერძოებლობა და გამჭვირვალობა არჩევნების დროს. გარდა ამისა, კომისიამ ჩაატარა მრავალმხრივი კონფერენცია გენდერული თანასწორობის თემაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიების წარმომადგენლების მონაწილეობით ხუთი პარტნიორი ქვეყნიდან.

▶ [ბმული პროექტის შედეგების დოკუმენტზე](#)

ინსტიტუციური ჩარჩოების გაძლიერება ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე

ბიუჯეტი: 2.5 მლნ. EUR

ევროპის საბჭოს დახმარებით სამიზნე ქვეყნებში ხელი შეეწყო უფრო ეფექტიან, გამჭვირვალე და ეთიკურ მმართველობას ადგილობრივ დონეზე, გაუმჯობესდა სამართლებრივი ჩარჩოების და ადგილობრივი ფინანსების მართვის თანმიმდევრულობა. 60-ზე მეტმა მერმა სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, საქართველოდან, მოლდოვასა და უკრაინიდან აიმაღლა ცნობიერება არსებული საშუალებების შესახებ, რომელთა გამოყენებით შესაძლებელია უმაღლესი ეთიკური სტანდარტების დანერგვა საჯარო პოლიტიკაში, კარგი მმართველობის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა მათ ყოველდღიურ საქმიანობაში, და ცვლილებების განხორციელება მათ თემებში. შემუშავდა შიდა მუნიციპალური თანამშრომლობის პილოტური პროექტები სომხეთში, საქართველოსა და მოლდოვაში და ამჟამად ადგილობრივი ფინანსური მაჩვენებლების დასახვის მიდგომის ტესტირება მიმდინარეობს სომხეთსა და საქართველოში. ტრენინგი ჩაუტარდა ბელარუსის ადგილობრივი ადმინისტრაციის 35 თანამშრომელს ლიდერობის, კარგი მმართველობის და ეფექტიანი მართვის საკითხებზე. მოლდოვაში, ევროპის საბჭომ მხარი დაუჭირა დიალოგის გამართვას ცენტრალურ ხელისუფლებასა და ავტონომიურ ხელისუფლებას, გაგაუზიას, შორის.

▶ [ბმული პროექტის შედეგების დოკუმენტზე](#)

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: <http://pjp-eu.coe.int/ka/web/eap-pcf/home>

საკონტაქტო პირი: [ტატიანა ბაევა](#), სპიკერი/მედიასთან ურთიერთობის ოფიცერი, ტელ.: +33 685 11 64 93

ოქტომბერი 2016 წ.